საქმე დს-შ/3-14 **4 ივლისი, 2014 წელი**
ქ. თბილისი
მიღების ადგილი

საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა
შემადგენლობა:

თავმჯდომარე: მაია ვაჩაძე
მოსამართლეები: ვასილ როინიშვილი (მომხსენებელი მოსამართლე)
ნუგზარ სხირტლაძე

საჩივრის ავტორი - ადვოკატი ა. ს.

მოწინააღმდეგე მხარე - სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

მოთხოვნა - სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიის 2014 წლის 26 მარტის N035/13 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა

სასამართლომ ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა ადვოკატ ა. ს-ს საჩივრის დასაშვებობის საკითხი სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2014 2014 წლის 26 მარტის N035/13 გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ.

სადისციპლინო პალატამ საქმის მასალების გაცნობის შედეგად გამოარკვია:

2013 წლის 18 აპრილს სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას“ საჩივრით მომართა ადვოკატმა მ. ჩ-მ და ადვოკატ ა. ს-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება მოითხოვა. საჩივრის ავტორის განმარტებით, მის მიერ წლების განმავლობაში ნაწარმოებ საქმეში 2013 წლის 19 მარტს ჩაერთო ა. ს., რომელიც 2013 წლის 5 აპრილს სასამართლო სხდომაზე გამოცხადდა და ყოველგვარი კოლეგიალური ურთიერთობის გარეშე შეუდგა თავისი მოვალეობის შესრულებას. ადვოკატ მ. ჩ-ს შეფასებით, იგი შეურაცხყოფილი დარჩა ადვოკატის ქმედებით და ამავე სასამართლო სხდომაზე უარი თქვა თავისი მოვალეობის განხორციელებაზე. საჩივრის ავტორთან საპროცესო კოლეგიის გასაუბრება შედგა 2013 წლის 29 აპრილს, რომელზეც მ. ჩ-მ განაცხადა, რომ ადვოკატი ა. ს. იყო სისხლის სამართლის სპეციალიზაციის მქონე ადვოკატი, შესაბამისად, მას არ გააჩნდა ის ცოდნა, რომელიც ადვოკატს ესაჭიროებოდა სამოქალაქო საქმეზე. 2013 წლის 2 მაისს ადვოკატმა ა. ს-მა ეთიკის კომისიაში წარადგინა წერილობითი ახსნა განმარტება, სადაც მან დააზუსტა, რომ მასსა და მოქალაქე ნ. შ-ს შორის გაფორმდა ხელშეკრულება და მასში ნათქვამია, რომ კლიენტის ინტერესები უნდა დაეცვა რუსთავის საქალაქო სასამართლოში. ადვოკატის მითითებით, მოქალაქე ნ. შ-ს ეჭვი ეპარებოდა ადვოკატ მ. ჩ-ს კომპეტენციაში, რის გამოც გამოთქვა სურვილი, რომ სამართლებრივ დავაში ადვოკატ მ. ჩ-სთან ერთად ჩართულიყო ადვოკატი ა. ს-ც. ადვოკატის განმარტებით, ის გარემოება, რომ იგი სპეციალიზაციით სისხლის სამართლის ადვოკატია, არ შეიძლება ჩაითვალოს დარღვევად, ვინაიდან სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს წარმომადგენლობის უფლებას პირველ ინსტაციაში, ხოლო „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონში მითითებულია ადვოკატის მხოლოდ უფლებაზე და არა ვალდებულებაზე, განახორციელოს საადვოკატო საქმიანობა მხოლოდ შესაბამის დარგში.

ეთიკის კომისია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები და მიიჩნია, რომ ადვოკატის მხრიდან ადგილი ჰქონდა „ადვოკატთა პროფესული ეთიკის კოდექსის“ მე-8 მუხლის მე-5 ნაწილის დარღვევას. ეთიკის კომისიის 2013 წლის წლის 26 მარტის გადაწყვეტილებით, ადვოკატ ა. ს-ს დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განესაზღვრა კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.

სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიის 2014 წლის 26 მარტის გადაწყვეტილება ადვოკატმა ა. ს-მა უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში გაასაჩივრა და მიუთითა, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება, როგორც უკანონო და დაუსაბუთებელი, უნდა გაუქმდეს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა ადვოკატ ა. ს-ს საჩივრის გაცნობის შედეგად მიიჩნევს, რომ საჩივარი არ არის დასაშვები შემდეგ გარემოებათა გამო:

“ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლი განმარტავს ადვოკატის დისციპლინური სახდელის სახეებს და დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებებს. კერძოდ: ადვოკატის დისციპლინური სახდელის სახეებია: ა) გაფრთხილება; ბ) სააადვოკატო საქმიანობის უფლების ჩამორთმევა 6 თვიდან 3 წლამდე ვადით; გ) საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა. ადვოკატზე დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებებია: ა) კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა; ბ)

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის, აღმასრულებელი საბჭოს, ეთიკის კომისიის, სარევიზიო კომისიის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტა.

ამასთან, „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 38-ე მუხლი განმარტავს: “ დისციპლინური ღონისძიების სახით კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვის შემთხვევაში კერძო სარეკომენდაციო ბარათი უნდა შეიცავდეს რჩევებს დს რეკომენდაციებს იმ ზომების შესახებ, რომელიც ადვოკატმა უნდა მიიღოს პროფესიული მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული პრობლემების აღმოსაფხვრელად. კერძო სარეკომენდაციო ბარათის შინაარსი კონფიდენციალურია“

ამავე დებულების მე-40 მუხლი ადგენს ეთიკის კომისის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების წესს. მე-40 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „განხილვის კოლეგიის ან ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებები ადვოკატისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე შეიძლება გასაჩივრდეს ამ ადვოკატის მიერ მისთვის გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 1 თვის ვადაში“. ე. ი. ნორმა განმარტავს, რომ საჩივრდება ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება დისციპლინური პასუხისმგებლობის (სახდელის) დაკისრების თაობაზე და არა გადაწყვეტილება სარეკომენდაციო ბარათით მიმართვის შესახებ, რომელიც მხოლოდ დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებას წარმოადგენს და არა პასუხისმგებლობის ან სახდელის სახეს. სარეკომენდაციო ბარათი თავისი შინაარსით შეიცავს რა მხოლოდ რჩევებს და რეკომენდაციებს, არ უზღუდავს ადვოკატს საადვოკატო უფლებამოსილების განხორციელებაში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ საქართველოს კანონის 61-ე, 62-ე და 68-ე მუხლებით (კანონის ანალოგია) და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ადვოკატ ა. ს-ს საჩივარი სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიის 2014 წლის 26 მარტის N035/13 გადაწყვეტილების ბათილად ცნობის თაობაზე დარჩეს განუხილველად დაუშვებლობის მოტივით.
2. განჩინება საბოლოოა არ გასაჩივრდება.

თავმჯდომარე	/მაია ვაჩაძე/
მოსამართლეები:	/ვასილ როინიშვილი/
	/ნუგზარ სხირტლაძე/